საქართველოს მთავრობის

დადგენილება №380

2015 წლის 30 ივლისი

ქ.თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2014, 280120000.10.003.018378) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე–15 მუხლის მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ეკვივალენტურობის კოეფიციენტები მოცემულია №3 ცხრილში:

ცხრილი №3

		სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი											
№	კატეგორია	0_3	4_6	7_12	13_17	18_29 კაცი	18_29 ქალი	30_39 კაცი	30_39 ქალი	40_59 კაცი	40_59 ქალი	60+ კაცი	60+ ქალი
1	ჯანმრთელი	1,24	1,16	1,04	1,21	1,04	0,93	1,00	0,92	1,04	0,95	1,13	1,04
2	შშმ ბავშვი	1,58	1,59	1,50	1,70	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
3	მკვეთრად გამოხატული შშმპ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) (I ჯგუფი)	0	0	0	0	1,64	1,50	1,60	1,50	1,56	1,50	1,50	1,50
4	მნიშვნელოვნად გამოხატული შშმპ (II ჯგუფი)	0	0	0	0	1,56	1,41	1,51	1,41	1,47	1,41	1,41	1,41
5	მარტოხელა პენსიონერი/სოციალური პაკეტის მიმღები	0	0	0	0	1.76	1.99	1.74	1.94	1.71	1.88	1.8	1.8
6	ფეხმძიმე ქალი	0	0	0	1,32	0	1,11	0	1,11	0	1,11	0	0
	მეძუძური												

7	დედა	0	0	0	1,21	0	1,08	0	1,09	0	1,13	0	0
8	მარტოხელა დედა	0	0	0	1,44	0	1,14	0	1,14	0	1,14	0	0
9	ობოლი (დედ-მამით)	1,37	1,2	1,04	1,21	0	0	0	0	0	0	0	0
10	პირი, რომელიც სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ ამბულატორიულ მკურნალობას	1,65	1,58	1,46	1,68	1,58	1,42	1,53	1,40	1,49	1,38	1,43	1,38

“.

მუხლი 2

1. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, უზრუნველყოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესწავლილი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული (მათ შორის, ტესტირების რეჟიმში შეფასებული/შესწავლილი) ოჯახებისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ავტომატური გადათვლა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამატებითი შეფასების (შესწავლის) გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტომატურად გადათვლილი სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს სარეიტინგო ქულის ავტომატურ გადათვლამდე მინიჭებული/მისანიჭებელი სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის თარიღი.

3. დაევალოს სააგენტოს მის მიერ ადმინისტრირებადი სოციალური ბენეფიტების შესაბამისი ადმინისტრირება (მათ შორის, ფულადი სოციალური დახმარებ(ებ)ის უკანდახევით გაცემა), ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის თარიღისა და ოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**